ნანა თათარაშვილი

შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, თურქეთი

„13-17 მაისს, Erasmus + ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში ვიმყოფებოდი ანკარაში, შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (METU, Middle East Technical University).

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ქვეყნის 25 ადმინისტრაციულმა პერსონალმა. კვირეულს უმასპინძლა საერთაშორისო დეპარტამენტმა.

კვირეულის მიზანი იყო საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. მობილობის ფარგლებში, მივიღეთ მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის პანელურ დისკუსიებში რომელიც ძირითადად დაკავშირებული იყო ინკლუზიურ განათლებასთან, კულტურულ მრავალფეროვნებასთან და სასწავლო პროცესების გაციფრულებასთან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარეს უნივერსიტეტის პრეზიდენტის მრჩევლებმაც.

საშუალება მომეცა, რომ პროგრამის მონაწილეებისთვის გამეცნო კავკასიის უნივერსიტეტი და განმეხილა მათთან შესაძლო თანამშრომლობა.“